



## ეკონომიკა

**საგარეო ვაჭრობა:** საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის სექტემბერში ექსპორტი წლიურად 12.8%-ით გაიზარდა და 373.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 14.6%-იანი წლიური ზრდის შემდეგ (+22.3% 2019 წლის სექტემბერთან შედარებით). ამასთან, იმპორტი წლიურად 23.4%-ით გაიზარდა 925.8 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის 27.2%-იანი ზრდის შემდეგ (+15.1% 2019 წლის სექტემბერთან შედარებით). შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 31.8%-ით გაიზარდა სექტემბერში. ჯამურად, 2021 წლის პირველ 9 თვეში, სავაჭრო ბალანსი წლიურად 19.9%-ით გაუარესდა და 4.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 24.0%-ით გაიზარდა 3.0 მლრდ აშშ დოლარამდე (+9.0% 2019 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით), ხოლო იმპორტი 21.6%-ით გაიზარდა 7.0 მლრდ აშშ დოლარამდე (+3.3% 2019 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით).

**ფულადი გზავნილები:** 2021 წლის სექტემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 8.8%-ით გაიზარდა და 209.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 11.2%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, ფულადი გზავნილები ასევე გაზარდილია 2019 წლის სექტემბერთან შედარებით 40.1%-ით. ფულადი გზავნილები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ძირითადი ქვეყნებიდან: იტალია (+16.6%), რუსეთი (+9.8%), აშშ (+8.2%), ისრაელი (+10.4%) და გერმანია (+44.1%). ამასთან, ფულადი გზავნილები შემცირდა საბერძნეთიდან (-6.8%), თურქეთიდან (-6.6%) და უკრაინიდან (-39.7%). ჯამურად, 2021 წლის პირველ 9 თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 27.8%-ით გაიზარდა და 1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (+35.7% 2019 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით).


**საერთაშორისო სავალუტო ფონდმა** მსოფლიო ეკონომიკის განახლებული პროგნოზები გამოქვეყნა 2021 წლის ოქტომბერში. სავალუტო ფონდის პროგნოზით, გლობალური ეკონომიკა 5.9%-ით გაიზარდება 2021 წელს და 4.9%-ით 2022 წელს. სავალუტო ფონდის მიხედვით, დელტა შტამის სწრაფმა გავრცელებამ და ვირუსის ახალი ვარიანტების საფრთხემ გაზარდა გაურკვეველობა თუ რამდენად სწრაფად შეიძლება პანდემიის დაძლევა და შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანი უფრო რთული გახდა მანევრირების შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე. სავალუტო ფონდის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, საქართველო იქნება ერთ-ერთი ლიდერი რეგიონში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით. ფონდის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს 7.7%-ით, ხოლო 2022 წელს 5.8%-ით გაიზარდება.

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2019	2020
რეალური მშპ-ს ზრდა	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	7.0%	2.4%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.5	3.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.5%	12.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.4%	60.0%
Fitch/S&P/Moody's*		BB/BB/Ba2


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### ფულადი გზავნილები საქართველოში



წყარო: სებ

### ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2022 წელს, IMF



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ოქტომბერი 2021



# ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 12 ოქტომბერს 1-წლიანი 30 მლნ ლარის (9.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.7-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0083პპ-ით გაიზარდა და 9.248% შეადგინა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 19 ოქტომბერს, სადაც 10-წლიანი 25 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება* მლნ ლარი
6-თვე	125	40	75
1-წელი	135	60	255
2-წელი	190	100	980
5-წელი	330	255	2,520
10-წელი	69	25	1,306
<b>სულ</b>	<b>849</b>	<b>480</b>	<b>5,136</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
შენიშვნა: \* 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

**კორპორატიული ვერობლიგაციები:** საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.30%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.37 (+0.12% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.90 (+0.02% წინა კვირასთან შედარებით), 4.82%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 101.66 ფასად (-0.16% წინა კვირასთან შედარებით), 3.72%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 101.04 (+0.06% წინა კვირასთან შედარებით), 2.51%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

### ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	101.04	2.51	141.79
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	101.66	3.72	240.25
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	106.37	2.30	186.86
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B1	110.58	9.18	605.87
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	102.90	4.82	419.99
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	108.01	7.37	486.41
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	107.17	2.93	223.06
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B1	110.63	9.37	597.90
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B-	106.48	5.81	396.11

### ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B1	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-/BB-	n/a	n/a	n/a
EVEEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



## აქციები


### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები** დაიხურა 15.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.11% წინა კვირასთან შედარებით და +5.48% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 113 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.34 - 15.96 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 31 ათასი აქცია შეადგინა.


### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები** დაიხურა 14.98 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.90% წინა კვირასთან შედარებით და +8.08% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 111 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.26 - 14.98 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 24 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

**Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები** დაიხურა 6.37 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.26% წინა კვირასთან შედარებით და +5.99% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 269 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.11 - 6.45 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 82 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	15.40	757	36.5%	69.6%	26.2%	5.19x	5.00x	1.05x	0.96x
TBC	TBC	GBP	14.98	826	33.8%	54.1%	19.8%	5.32x	5.10x	1.01x	0.88x
Halyk Bank	HSBK	US\$	20.90	112,792	41.4%	102.9%	43.9%	7.23x	6.98x	1.39x	1.26x
Sberbank	SBER	USD	17.52	5,148	19.2%	75.2%	50.4%	5.08x	4.86x	1.26x	1.17x
VTB Bank	VTBR	US\$	1.51	9,785	30.4%	94.0%	58.2%	3.25x	3.28x	0.46x	0.42x
Akbank	AKBNK	TRY	5.14	26,728	1.8%	1.0%	-25.8%	3.51x	2.74x	0.42x	0.38x
Garanti	GARAN	TRY	8.93	37,506	22.2%	27.4%	-13.9%	3.90x	3.25x	0.58x	0.50x
Isbank	ISCTR	TRY	5.14	23,130	2.2%	-3.2%	-26.6%	3.07x	2.30x	0.35x	0.30x
PKO	PKO	PLN	46.09	57,613	39.3%	122.0%	60.5%	12.94x	12.10x	1.34x	1.28x
PEKAO	PEO	PLN	123.50	32,415	62.5%	157.3%	102.1%	17.34x	14.10x	1.28x	1.22x
Millennium	MIL	PLN	8.30	10,068	118.4%	232.3%	153.8%	12.37x	11.47x	1.44x	1.23x
Mbank	MBK	PLN	511.00	21,650	146.9%	237.3%	185.2%	19.91x	16.46x	1.36x	1.28x
BRD	BRD	RON	18.94	13,199	22.4%	56.8%	27.5%	11.99x	11.40x	1.59x	1.43x
Banca Transilvania	TLV	RON	2.62	16,536	19.6%	40.6%	28.1%	10.23x	9.53x	1.65x	1.53x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-1.8%	-3.5%	-3.5%	7.96x	7.54x	0.63x	0.56x
Komercni	KOMB	CZK	884.00	168,004	31.0%	88.7%	34.6%	16.19x	13.98x	1.41x	1.41x
<b>საშუალო</b>								<b>9.09x</b>	<b>8.13x</b>	<b>1.08x</b>	<b>0.99x</b>
<b>მედიანა</b>								<b>7.59x</b>	<b>7.26x</b>	<b>1.27x</b>	<b>1.19x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.37	303	7.2%	53.5%	18.0%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.54	492	8.1%	3.0%	4.6%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	10.02	20,445	20.9%	20.1%	-12.6%	3.93x	3.31x	0.51x	0.42x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	37.15	699	3.5%	24.3%	19.2%	5.23x	10.54x	1.13x	1.04x
Eurazeo	RF	EUR	82.70	6,552	21.8%	91.2%	49.0%	9.91x	12.68x	1.11x	1.01x
Carlyle Group	CG	USD	51.71	18,329	32.5%	89.6%	64.5%	14.87x	13.85x	5.94x	6.10x
<b>საშუალო</b>								<b>8.48x</b>	<b>10.10x</b>	<b>2.17x</b>	<b>2.14x</b>
<b>მედიანა</b>								<b>7.57x</b>	<b>11.61x</b>	<b>1.12x</b>	<b>1.02x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ





# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობისთვის მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge